



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 200

2016 წლის 11 თებერვალი

ქ. თბილისი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამოცხადების  
შესახებ

„სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N58/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N1219429, 11.10.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის თავფურცელის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს განმცხადებლის კომპეტენციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს საერთო ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს უცხოელი კონსულტანტის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს ცნობა თანადაფინანსების შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;

13. დამტკიცდეს საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
15. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



## 2016 წლის სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის პირობები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს:

- ა) საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში არსებულ სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობითა და განვითარებით სამეცნიერო კვლევების აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებას და ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების უზრუნველყოფას;
- ბ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეშვეობით;
- გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებას და ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის ხელშეწყობას;
- დ) ინტერ და ინტრაინსტიტუციონალური თანამშრომლობის წახალისებას სადოქტორო სწავლების საფეხურზე;
- ე) ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტების მხარდაჭერას კარიერის საწყის ეტაპზე;
- ვ) სადოქტორო სწავლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

2. დოქტორანტურის სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი (შემდგომში - პროექტი) უნდა ითვალისწინებდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში:

- ა) არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ან
- ბ) ახალი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას.

3. პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 9 ივნისის №58/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო კლასიფიკატორის (დანართი 11) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
4. აგრარული მეცნიერებები
5. სოციალური მეცნიერებები
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

4. სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №58/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

### მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები

1. კონკურსში პროექტის დარეგისტრირება და მონაწილეობა შეუძლია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წამყვან ორგანიზაციასთან, თანახელმძღვანელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში\*) და \*თანამონაწილე ორგანიზაციასთან ერთად.

2. წამყვანი ორგანიზაცია უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს

<sup>1</sup> ვარსკვლავით (\*) მონიშნული მოთხოვნა ძალაშია მხოლოდ ასეთის არსებობის შემთხვევაში

სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ხელმძღვანელს, ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალური-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს ანგარიშგებას ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

3. სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (შემდგომში - პროექტის ხელმძღვანელი) უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, წამყვანი ორგანიზაციის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენასა და პროექტით გათვალისწინებულ კვლევას, პასუხისმგებელია პროექტის სამეცნიერო შედეგებზე და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

4. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანამონაწილე ორგანიზაცია, რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას ან რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

5. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, თანამონაწილე ორგანიზაციის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ეხმარება პროექტის ხელმძღვანელს პროექტის შედგენასა და პროექტით გათვალისწინებულ კვლევას, თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან პასუხისმგებელია პროექტის სამეცნიერო შედეგებზე და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

6. პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უნდა იყოს:

ა) არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის: მინიმუმ 1 (ერთი) ახალგაზრდა მეცნიერი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა და მინიმუმ 3 (სამი) დოქტორანტი (არსებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული ან მობილობით გადასული დოქტორანტი); ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის ვინაობა, პროექტის წარდგენის მომენტში, წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული; დოქტორანტის ვინაობა შესაძლებელია განსაზღვრული იყოს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტში ან დოქტორანტი უნდა შეირჩეს და წარედგინოს ფონდს პროექტის დაფინანსების შემდეგ 12 თვის განმავლობაში.

ბ) ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის განვითარებისათვის: მინიმუმ 1 (ერთი) ახალგაზრდა მეცნიერი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა და მინიმუმ 3 (სამი) დოქტორანტი (ახალ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული ან მობილობით გადასული დოქტორანტი); შესაძლებელია, ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის პროექტში ჩართვა პროექტის დაწყებისთანავე, ან არაუგვიანეს პროექტის დაფინანსებიდან 12 თვის განმავლობაში; სამი დოქტორანტი უნდა შეირჩეს და წარედგინოს ფონდს სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ 6 თვის განმავლობაში.

7. პროექტში შეიძლება ჩართული იყოს დამხმარე პერსონალი - პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც ემსახურება პროექტს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

8. პროექტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტი, უცხო ქვეყნის მოქალაქე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კონსულტირებას უწევს პროექტს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებასა და პროექტის ადმინისტრირებაში. უცხოეთის მოქალაქე ვერ იქნება გრანტის მიმღები.

9. პროექტის განხორციელებაში შეიძლება ჩართული იყოს უცხოეთში რეგისტრირებული უმაღლესი საგანმანათლებლო, ან სასწავლო-კვლევითი დაწესებულება პარტნიორი ორგანიზაციის სტატუსით, რომელიც ვერ იქნება გრანტის მიმღები.

10. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

### **მუხლი 3. კონკურსის პირობები და ფინანსური მოთხოვნები**

1. ძირითადი მოთხოვნები პროექტებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არის შემდეგი:

ა) სადოქტორო პროგრამა უნდა იყოს აკრედიტირებული;

- ბ) პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 3 წელი;
- გ) პროექტის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 220 000 ლარს, აქედან პირველი წლის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წლების ბიუჯეტი თითოეული 60 000 ლარს;

2. ძირითადი მოთხოვნები პროექტებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არის შემდეგი:

- ა) სადოქტორო პროგრამა არ არის აკრედიტირებული, ან აქვს პირობითი აკრედიტაცია;
- ბ) პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 4 წელი;
- გ) პროექტის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 245 000 ლარს, აქედან პირველი წლის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს, მეორე წლის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, ხოლო მესამე და მეოთხე წლების ბიუჯეტი თითოეული 60 000 ლარს;
- დ) პროექტის პირველი წელი უნდა ითვალისწინებდეს ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებასა და აკრედიტაციას.

3. ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის აკრედიტაცია უნდა მოხდეს პირველ საანგარიშო პერიოდში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფონდი მოითხოვს მთლიანი საგრანტო დაფინანსების უკან დაბრუნებას.

4. პროექტის საგრანტო დაფინანსება პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებაში შეიძლება მოთხოვნილი იყოს შემდეგი სქემით:

	არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვა
პროექტის ხანგრძლივობა	3 წელი	4 წელი
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	არაუმეტეს 220 000 ლარი	არაუმეტეს 245 000 ლარი
I წლის ბიუჯეტი	არაუმეტეს 100 000 ლარი	არაუმეტეს 25 000 ლარი
II წლის ბიუჯეტი	არაუმეტეს 60 000 ლარი	არაუმეტეს 100 000 ლარი
III წლის ბიუჯეტი	არაუმეტეს 60 000 ლარი	არაუმეტეს 60 000 ლარი
IV წლის ბიუჯეტი	-	არაუმეტეს 60 000 ლარი

5. პროექტის საერთო ბიუჯეტში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს/მუხლებს:

- ა) არაუმეტეს ერთი ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია - არაუმეტეს 1500 ლარი/თვეში (18 000 ლარი/წელიწადში) კვირაში 40-საათიანი სამუშაო განაკვეთით; გამონაკლისის სახით, შესაძლებელია, პროექტში ჩართული იყოს ორი ახალგაზრდა მეცნიერი, რომელთაც უკავიათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში. პროექტში ორი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში, ყოველთვიური სტიპენდია უნდა თანაბრად განაწილდეს მათზე;
- ბ) არაუმეტეს სამი დოქტორანტის სტიპენდია - ერთი დოქტორანტისთვის არაუმეტეს 1000 ლარი/თვეში (12 000 ლარი/წელიწადში);
- გ) კვლევის ხარჯები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას, უცხოელი კონსულტანტის ჰონორარს, საქონელი და მომსახურების ხარჯებს და ძირითად აქტივებს (დაუშვებელია, ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ფარგლებში, კვლევის ხარჯების კატეგორიაში მოხდეს პროექტის ხელმძღვანელის და \*თანახელმძღვანელის ანაზღაურების, დოქტორანტის სასწავლო გადასახადის და მივლინების ხარჯების გათვალისწინება);
- დ) მივლინების ხარჯები;
- ე) ზედნადები ხარჯები - პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს.
- ვ) კონსულტანტის საქართველოში ვიზიტის ხარჯები რომელიც მოიცავს ავიაბილეთის და სასტუმროს ხარჯებს;

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების ფარგლებში ხარჯების გაწევისას, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს მე-12 დანართის - ბიუჯეტის კლასიფიკატორის შესაბამისად.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ფარგლებში სადღეღამისო და სასტუმროს ხარჯების ანაზღაურებისას, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის #220 ბრძანებით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

8. პროექტში ჩართული დოქტორანტი და ახალგაზრდა მეცნიერი, განაცხადის კონკურსზე რეგისტრაციის ან პროექტში ჩართვის მომენტში, არ უნდა იყოს ფონდის მიერ ადმინისტრირებული „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი“-ს და „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსის“ გრანტის მიმღები.

9. იმ შემთხვევაში, თუ პროექტში ჩართული დოქტორანტი / ახალგაზრდა მეცნიერი, პროექტის მსვლელობისას, მიიღებს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი“-ს / „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსის“ გრანტს, დოქტორანტი / ახალგაზრდა მეცნიერი ვერ მიიღებს კონკურსის ფარგლებში გათვალისწინებულ სტიპენდიას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დოქტორანტისათვის / ახალგაზრდა მეცნიერისათვის განსაზღვრული სტიპენდიის გამოყენება კვლევის, მივლინების ან/და კონსულტანტის საქართველოში ვიზიტის ხარჯებზე. აგრეთვე, შესაძლებელია, პროექტში ახალი დოქტორანტის / ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვა.

10. პროექტის განხორციელებისათვის გრანტის სახით მოთხოვნილი თანხები ჩაირიცხება წამყვანი და \*თანამონაწილე ორგანიზაციის ანგარიშზე, ხოლო ახალგაზრდა მეცნიერისა და დოქტორანტის სტიპენდიის თანხის ჩაირიცხვა განხორციელდება ფონდის მიერ დოქტორანტისა და ახალგაზრდა მეცნიერის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე;

11. სასურველია, პროექტს ჰქონდეს თანადაფინანსება (დამატებითი ფინანსური წყარო), რომელიც ნაწილობრივ დაფარავს პროექტის საერთო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების ნაწილს.

12. თანადაფინანსების ფარგლებში, შესაძლოა, კვლევის ხარჯების მუხლში გათვალისწინებული იქნას პროექტის ხელმძღვანელის და \*თანახელმძღვანელის შრომის ანაზღაურება.

13. თანადაფინანსებად არ ჩაითვლება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული გრანტ(ებ)ი.

#### **მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები**

1. კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში წარმოსადგენი დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) პროექტის შინაარსი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

- 1) პროექტის თავფურცელი (**დანართი 2**, PDF ფორმატი);
- 2) საპროექტო წინადადება (**დანართი 3**, PDF ფორმატი);
- 3) პროექტისთვის საჭირო რესურსები და პროექტის მენეჯმენტი (**დანართი 4**, PDF ფორმატი);
- 4) პროექტის ბიუჯეტი და დასაბუთება (**დანართი 5**, Excel ფორმატი);
- 5) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (**დანართი 6**, Excel ფორმატი);
- 6) პროექტის ხელმძღვანელის, \*თანახელმძღვანელის, ძირითადი პერსონალისა და \*უცხოელი კონსულტანტის CV-ები (**დანართი 7**, PDF ფორმატი) გაერთიანებული სახით;

ბ) პროექტზე თანდართული დოკუმენტები:

- 1) პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონკურსში მონაწილე ძირითადი პერსონალის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლები;
- 2) პროექტის ხელმძღვანელის, \*თანახელმძღვანელის და ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ);
- 3) დოქტორანტის ცნობა\*დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, დისერტაციის ხელმძღვანელისა (სავალდებულო) და \*თანახელმძღვანელის მითითებით, აგრეთვე, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით;
- 4) \*უცხოელი კონსულტანტის თანხმობის წერილი, სამეცნიერო ხარისხის, თანამდებობის, სამუშაო ადგილის, საკონტაქტო ინფორმაციის, პროფესიული ვებგვერდისა და უნივერსიტეტის/კვლევითი დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდის მისამართით, სადაც დასტურდება მისი მოღვაწეობის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია. დაინტერესების წერილი ნათარგმნი და დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ (**დანართი 8**, PDF ფორმატი);
- 5) პროექტში \*თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ის სტატუსით მონაწილე კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირის (ა(ა)იპ) შემთხვევაში, იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი

დოკუმენტ(ებ)ი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაცემული 2016 წელს და წესდება);

- 6) \*უცხოური პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობის წერილი სატიტულო გვერდზე შესაბამისად დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სასწავლო/კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის ხელმოწერით, ნათარგმნი, დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
- 7) \*ცნობა თანადაფინანსების შესახებ თანხისა და დაფინანსების პერიოდის მითითებით დონორის/სპონსორის მიერ ხელმოწერილი და \*ბეჭდით დადასტურებული (დანართი 9, PDF ფორმატი). უცხოური ორგანიზაციის შემთხვევაში, დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
- 8) \*სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის თანხმობის წერილი, დადასტურებული შესაბამისად ხელმოწერითა და \*ბეჭდით, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით პროექტის განხორციელების შესახებ;
- 9) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 10).

2. პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტები (დანართი 2,3,4,5,6,7) წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე. პროექტის შინაარსობრივ დოკუმენტებს თან უნდა ერთოდეს ქართულ ენაზე შედგენილი პროექტის მოკლე რეზიუმე და თავფურცელი; საგრანტო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტები ქართულ ენაზე; პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე. ფონდი უფლებამოსილია, დამატებით მოითხოვოს იურიდიული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება 2 ეტაპად:
  - ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია 2016 წლის 26 ოქტომბრიდან 7 ნოემბრის 16:00 სთ.-მდე.
  - ბ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენა ფონდის კანცელარიაში 2016 წლის 10 ნოემბრის 16:00 სთ.-მდე.
2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპზე კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტები უნდა აიტვირთოს ფონდის ელექტრონული რეგისტრაციის ბაზაში ამ ბრძანებით დამტკიცებული ფორმისა და ფორმატის მიხედვით. ელექტრონული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, თითოეულ პროექტს მიენიჭება სარეგისტრაციო შიფრი და გაეგზავნება პროექტის ხელმძღვანელს.
3. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 10) უნდა იყოს სათანადოდ შევსებული, პროექტის სარეგისტრაციო შიფრის მითითებით ან ელექტრონული ბაზის მიერ გენერირებული სახით. ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი განცხადება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერებითა და \*ბეჭდით.
4. განცხადებაში შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს სამი არასასურველი კომისიის წევრი და დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთაც შესაფასებლად არ გაეგზავნება წარმოდგენილი პროექტი.
5. პროექტის ხელმძღვანელსა და \*თანახელმძღვანელს შეუძლიათ ფონდის კანცელარიაში შემოიტანონ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ **მხოლოდ ერთი პროექტისათვის**.

### მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:
  - ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით 2016 წლის 11 ოქტომბერს.
  - ბ) ჯგუფური კონსულტაციები: 1) 18 ოქტომბერი, 16:00 სთ. 2) 31 ოქტომბერი, 16:00 სთ.
  - გ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაციის ფანჯარა - 2016 წლის 26 ოქტომბრის 10:00 სთ-დან 7 ნოემბრის 16:00 სთ.-მდე.
  - დ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებების ფონდის კანცელარიაში წარდგენის ბოლო ვადა - 2016 წლის 10 ნოემბრის, 16:00 სთ.
2. დადგენილი ვადებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევით წარმოდგენილი დოკუმენტაცია საკონკურსოდ არ განიხილება;
3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას.

#### 4. ტექნიკური ექსპერტიზის ფარგლებში:

- ა) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტზე დასართავი დოკუმენტაციის არასრულად ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან/და ყალბი ინფორმაციის, წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს;
- ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტზე დასართავი დოკუმენტაციის არასრულად ან დადგენილ მოთხოვნებთან (ვადები, წესი, ფორმატი, და ა.შ.) შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

5. ტექნიკური ექსპერტიზის განხორციელებებისას, დანართი 5-ის ექსპერტიზის დროს, ფონდი განახორციელებს წარმოდგენილი დანართის შესაბამისობის შემოწმებას ამ პირობების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში და მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებთან. აგრეთვე, მოხდება ბიუჯეტის ფორმაში მოცემული თანადაფინანსების ოდენობის შედარება, წარმოდგენილ თანადაფინანსების ცნობასთან. დასაბუთების ფორმის შემთხვევაში, შემოწმდება გათვალისწინებული ხარჯების დასაბუთების არსებობა (გარდა ზედნადები ხარჯების და სტიპენდიისა).

6. ტექნიკური ექსპერტიზის განხორციელებებისას, დანართი 6-ის ექსპერტიზის დროს, ფონდი განახორციელებს წარმოდგენილი დანართის შესაბამისობის შემოწმებას ამ პირობების მე-11 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან.

7. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე საგრანტო კონკურსიდან მოხსნას

პროექტი:

- ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ დებულების მოთხოვნებს;
- ბ) რომელიც არ შეესაბამება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის ფორმას;
- გ) რომელსაც არ ერთვის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროექტზე დასართავი დოკუმენტაცია და რომელიც არ იქნება ფონდში წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში;
- დ) რომელიც შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

#### მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. საკონკურსო კომისიას (შემდგომში - კომისია) ქმნის, კომისიის სხდომას იწვევს და კომისიის მუშაობის წესს ადგენს გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისია პროექტების შეფასებისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №58/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და შეფასების კრიტერიუმებით.
3. კომისია განიხილავს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს, აფასებს, ადგენს რანჟირებულ სიებს, გამოავლენს საუკეთესო პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალური დირექტორს.
4. კომისიის შემადგენლობა და ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.
5. ფონდი ამტკიცებს კომისიის შეფასების საფუძველზე ამ დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით შემდგარი რანჟირებული სიებიდან გამარჯვებულ პროექტებს.

#### მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩევისა და ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელთან და წამყვან ორგანიზაციასთან, ასევე, \*თანახელმძღვანელსა, \*თანამონაწილე ორგანიზაციასთან და \*ძირითად პერსონალთან, რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.
2. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით ა) და ბ) ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროექტის



ხელმძღვანელის და წამყვანი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე, ფონდი განიხილავს საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

3. პროექტში ჩართული დოქტორანტის შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი პუნქტებიდან ერთ-ერთი:

- ა) დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
- ბ) პროექტის ხელმძღვანელის და წამყვანი ორგანიზაციის დასაბუთებული მოთხოვნა დოქტორანტის ჩანაცვლების თაობაზე;
- გ) დოქტორანტის წერილობითი უარი პროექტში მონაწილეობაზე.

4. პროექტში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერის შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი პუნქტებიდან ერთ-ერთი:

- ა) პროექტის ხელმძღვანელის და წამყვანი ორგანიზაციის დასაბუთებული მოთხოვნა ახალგაზრდა მეცნიერის ჩანაცვლების თაობაზე;
- ბ) ახალგაზრდა მეცნიერის წერილობითი უარი პროექტში მონაწილეობაზე.

5. საგრანტო ხელშეკრულებაში განისაზღვრება გრანტის მიმღები ორგანიზაცი(ებ)ის მიერ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი ანგარიშ(ებ)ი რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა და პროექტში ჩართული პერსონალის პირადი საბანკო ანგარიშები, რომელზეც ჩაირიცხება სტიპენდია.

6. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, პირველი საანგარიშო პერიოდის თანადაფინანსების თანხის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არაუგვიანეს 15 დღის ვადაში, ფონდის მხრიდან საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება ავანსის სახით, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანგარიშზე. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება ფონდში წარდგენილი ანგარიშებისა და თითოეული საანგარიშო წლისათვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის განხილვის საფუძველზე.

7. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ფინანსური და პროგრამული ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ ფონდის მიერ მომზადებული განხილვის აქტის შესაბამისად.

## **მუხლი 9. ანგარიშება და მონიტორინგი**

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და თითოეული საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ახორციელებს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 20 დღის ვადაში ფონდს წარუდგინოს შესაბამისი ანგარიშები გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდი შეადგენს 12 თვეს.

3. ფინანსური მონიტორინგის დროს ფონდი:

- ა) ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების საგრანტო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის შემოწმებას ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
- ბ) ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარდგენილი კვლევითი გრანტის ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს დედნის, ფოტოასლების ან ელექტრონული (დასკანირებული) სახით.

4. ფონდის მიერ ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:

- ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
- ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;
- გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლებელია დაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდში;

დ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით. იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით/ებით ჩასარიცხი თანხა ტოლია ან აღემატება სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებულ რესურსს, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს.

5. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს გრანტის მიმღების მიერ ვალდებულების შესრულების შემოწმებას საგრანტო ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ხელმძღვანელის, \*თანახელმძღვანელის, ახალგაზრდა მეცნიერის და დოქტორანტის შემთხვევაში, ფონდი ამოწმებს ამოცანების შესრულების შედეგების შესახებ გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
6. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.
7. გრანტის გამცემი არ არის პასუხისმგებელი საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგზე.
8. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას, ფონდი ეყრდნობა გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას თანადაფინანსების თანხის ხარჯვის შესახებ.

### **მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება**

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №58/ნ ბრძანების მე-15 მუხლის და საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად.

### **მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გამარჯვებული პროექტის მიმართ**

1. პროექტის განხორციელების პერიოდში, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის არანაკლებ სამმა დოქტორანტმა უნდა დაიცვას დისერტაცია და მათ უნდა მიენიჭოთ დოქტორის აკადემიური ხარისხი.
2. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით და პროექტში ჩართული პროექტის ხელმძღვანელის, \*თანახელმძღვანელის და ახალგაზრდა მეცნიერის ავტორობით არანაკლებ ერთი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს ინგლისურ ენაზე საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.
3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [grant number ...]“.
4. პროექტის ფარგლებში შესრულებული სადისერტაციო ნაშრომების ელექტრონული ვერსია უნდა იყოს ღიად ხელმისაწვდომი ფონდის ვებ-გვერდზე.
5. გრანტის სახსრებით შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით”.
6. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის დასრულებისას მოაწიოს მიღებული შედეგების შემაჯამებელი პრეზენტაცია.
7. ფონდი იტოვებს უფლებას, გრანტის მიმღებთან მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.
8. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამარჯვებულ პროექტში შეიტანოს ცვლილება.

**სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების  
 საგრანტო კონკურსი**

**პროექტის თავფურცელი**

(ვარსკვლავით \* აღნიშნული ველები ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**I. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

1	პროექტის სათაური - სადოქტორო პროგრამის სახელწოდება	
2	წამყვანი ორგანიზაცია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	
3	წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდი	
4	პროექტის ხელმძღვანელი სახელი, გვარი	
5	პროექტის ხელმძღვანელის ელ.ფოსტა	
6	პროექტის ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	
7	პროგრამის აკრედიტაციის სტატუსი (აკრედიტირებული, არ არის აკრედიტირებული)	
8	პროექტის ხანგრძლივობა (წლები)	
9	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
10	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
11	* თანადაფინანსების თანხა (ლარი)	
12	* თანადაფინანსებელი იურიდიული და/ან ფიზიკური პირი	
13	<b>სამეცნიერო მიმართულება</b>	
	სამეცნიერო მიმართულება #1 (ძირითადი)	
	სამეცნიერო მიმართულება #2	
	სამეცნიერო მიმართულება #3	
	სამეცნიერო ქვემიმართულება #1 (ძირითადი)	
	სამეცნიერო ქვემიმართულება #2	
	სამეცნიერო ქვემიმართულება #3	
14	<b>საკვანძო სიტყვები</b> (არაუმეტეს 5 ტერმინისა)	

**II. პროექტის განხორციელებაში ჩართული პირები\***

1	თანამონაწილე ორგანიზაცია	
2	თანამონაწილე ორგანიზაციის ვებგვერდი	
3	პროექტის თანახელმძღვანელი სახელი, გვარი	
4	თანახელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	

5	თანახელმძღვანელის ელ.ფოსტა	
6	უცხოელი კონსულტანტის სახელი, გვარი	
7	უცხოელი კონსულტანტის სამსახურეობრივი პროფესიული (სამსახურეობრივი) ვებგვერდი	
8	უცხოური პარტნიორი ორგანიზაცია	
9	სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც პროექტს უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით	

### III. პროექტის ძირითადი პერსონალი

№	პოზიცია პროექტში (ახალგაზრდა მეცნიერი / დოქტორანტი)	სახელი, გვარი (თუ ვინაობა უცნობია, მიუთითეთ ფრაზა „შეირჩევა პროექტის ხელმძღვანელის მიერ“)
1		
2		
3		
4		
5		

### IV. არასასურველი კომისიის წევრი და ექსპერტი

(მიუთითეთ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არაუმეტეს სამი პირი)

№	სახელი, გვარი	ორგანიზაციის დასახელება
1		
2		
3		

**Shota Rustaveli National Science Foundaiton (SRNSF)  
Call for structured PhD programme**

**Cover Page**

(\* Fields marked with an asterisk should be filled if applicable)

**I. General Information about the project**

1	<b>Project title</b> – PhD programme title	
2	<b>Host Institution</b> - University	
3	Web page of host institution	
4	<b>Head of PhD Programme / Project Supervisor</b> Name, surname	
5	<b>Project Supervisor’s E-mail address</b>	
6	<b>Project Supervisor’s phone number</b>	
7	<b>Programme accreditation status</b> (Accredited / not accredited)	
8	<b>Project duration (years)</b>	
9	<b>Project total budget (GEL)</b>	
10	<b>Requested funding from SRNSF (GEL)</b>	
11	* Co-funding in GEL (if applicable)	
12	* Co-funder (Institution or Person)	
13	<b>Project scientific fields and sub-fields</b>	
	<sup>1</sup> Main scientific field #1	
	* Scientific field (Additional) #2	
	* Scientific field (Additional) #3	
	* Main sub-field #1	
	* sub-field (Additional) #2	
	* sub-field (Additional) #3	
14	<b>Keywords of the project</b> (Please indicate up to 5 keywords)	

**II. Project participants\***

1	Co-participant Organization	
2	Web-page of Co-participant Organization	
3	Project Co-supervisor Name, Surname	
4	Co-supervisor’s phone number	
5	Co-supervisor’s E-mail address	
6	Foreign consultant’s name, surname	
7	Foreign consultant’s professional personal web-page	
8	Foreign partner organization	

\* Fill if applicable

<sup>1</sup> Indicate code, title

9	Other legal entity or individual providing the infrastructure for the project	

### III. Key Personnel

<b>№</b>	<b>Position in the Project</b> (Young Scientist / PhD student)	<b>Name, Surname</b> (in case the person is not selected, please indicate the following “to be selected by project supervisor”)
1		
2		
3		
4		
5		

### IV. Undesirable committee member or expert

(If applicable, please, indicate 3 undesirable committee members or experts)

<b>№</b>	<b>Expert's name, surname</b>	<b>Institution</b>
1		
2		
3		

## სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი

### საპროექტო წინადადება

(არაუმეტეს 15 გვერდისა ფორმულების, ცხრილების, დიაგრამებისა და ილუსტრაციების ჩათვლით; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით, ზომა ტექსტისათვის უნდა იყოს - 11. ბჭკარებს შორის ინტერვალის ლიმიტი - 1. გვერდის ველების ლიმიტი: 1,5სმ)

პროექტის ხელმძღვანელი:  
წამყვანი ორგანიზაცია:

### პროგრამის სახელწოდება:

### მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:

### აბსტრაქტი (პროექტის მოკლე შინაარსი)

### I. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასაბუთება: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (კურიკულუმი)

სწავლების ენა

სწავლების ხანგრძლივობა

სასწავლო კომპონენტი

კვლევითი კომპონენტი

3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი - პროგრამაზე მიღების წინაპირობები

### II. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტი<sup>1</sup>

1. კვლევის საკითხ(ებ)ი

2. კვლევის სტრატეგია, მიდგომა, მეთოდოლოგია

<sup>1</sup> საპროექტო წინადადების აღნიშნულ ნაწილში უნდა მოხდეს კვლევის თემატიკისა და ამოცანების აღწერა, რომელიც იქნება კავშირში დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომთან და ახალგაზრდა მეცნიერის კვლევით პროექტთან.

### 3. კვლევის ორიგინალობა და ინოვაციურობა (დარგის განვითარებაში წვლილის შეტანის პოტენციალი)

#### III. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის თხრობითი ტექსტი (Narrative)

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების თხრობითი ტექსტი (Narrative) შესაბამისობაში უნდა იყოს დანართ 6-თან.

ა) სადოქტორო პროგრამის მომზადების / განვითარების აქტივობები (პროექტის ხელმძღვანელი, YS)

ბ) სადოქტორო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები:

1 ხელმძღვანელის აქტივობები:

- კვლევა
- ხელმძღვანელობა
- თანამშრომლობა/Networking/კვლევითი ვიზიტები და სხვ.

2 ახალგაზრდა მეცნიერის აქტივობები:

- კვლევა
- თანახელმძღვანელობა
- თანამშრომლობა/Networking/კვლევითი ვიზიტები და სხვ.

3 დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება წლების მიხედვით (აუცილებელია, სამივე დოქტორანტისთვის გაკეთდეს ცალ-ცალკე. თუ მათი სამუშაო გეგმა-გრაფიკი იდენტურია, საკმარისია ერთის წარმოდგენა).

გ) კვლევითი გეგმის განხორციელებადობა წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად დაასაბუთეთ კვლევითი გეგმის განხორციელებადობა და შესაძლო რისკ-ფაქტორები



## Call for structured PhD programme development

### Project Proposal:

(Up to 15 pages in English, including formulas, tables, diagrammes and illustrations;  
Fonts: Times New Roman; font size: 11; paragraph: single line spacing 1; margins: 1,5 cm)

Head of PhD Programme / Project Supervisor:

Host Institution:

### Programme Title:

### Degree to be awarded / Qualification:

### Abstract (project summary)

## I. Programme Content and Structure

### 1. PhD programme justification: goals, objectives and expected outcomes of the PhD programme

### 2. Structure of PhD Programme (Curricula)

Language of instruction

Duration of the programme

Teaching component

Research component

---

### 3. Target group and enrolment requirements

## II. Research Component within PhD Programme<sup>1</sup>

1. **Research topic(s)**
2. **Research strategy, approach, methodology**
3. **Novelty and innovativeness of the research (perspective to contribute to the development of the field)**

## III. Project Timeframe Narrative

Please, provide project implementation timeframe narrative in accordance to annex # 6.

- a) **Activities to prepare/develop PhD programme (to be provided by project supervisor and young scientist)**
- b) **Activities to be implemented as part of the PhD programme:**
  1. Activities of the project supervisor:
    - Research
    - Supervision
    - Collaboration/Networking/ research visits etc.
  2. Activities of a young scientist:
    - Research
    - Co-supervision
    - Collaboration/Networking/ research visits etc.
  3. Teaching and research activities of PhD students by years (It is mandatory to provide separate information per PhD student. In case their activities are identical, one template is enough).
- c) **Project feasibility according to the project implementation timeframe**  
Please, explain feasibility of research timeframe and possible risks.

---

<sup>1</sup> In this part of the proposal, please provide description of the research topic, goals and objective that should be connected to PhD student's thesis and young researchers project.

## სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი

### განმცხადებლის კომპეტენცია

(ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით, ზომა ტექსტისათვის უნდა იყოს 11. ბწკარებს შორის  
ინტერვალის ლიმიტი - 1. გვერდის ველების ლიმიტი: 1,5სმ)

პროექტის ხელმძღვანელი:

პროექტის სათაური:

წამყვანი ორგანიზაცია:

### I. განმცხადებლის კომპეტენცია

1. პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელისა და კონსულტანტის გამოცდილება პროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ და სამეცნიერო კომპონენტებთან მიმართებაში

2. წამყვანი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურა

აღწერეთ წამყვან ორგანიზაციაში არსებული, პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

3. საერთაშორისო და ადგილობრივი ინტერ და ინტრა- ინსტიტუციონალური თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს პროექტის განხორციელებას

აღწერეთ პროექტის ინტერ და ინტრა-ინსტიტუციონალური თანამშრომლობის სქემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აგრეთვე, წარმოადგინეთ ინფორმაცია ინტელექტუალური და მატერიალური მხარდაჭერის შესახებ, რომელსაც უზრუნველყოფენ პროექტში ჩართული სხვა იურიდიული ან/და ფიზიკური პირები, როგორცაა თანამონაწილე ორგანიზაცია და თანახელმძღვანელი, უცხოელი კონსულტანტი, უცხოური და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები, თანადამფინანსებელი.

### II. პროექტის მენეჯმენტი

1. პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის ფუნქციები და პროექტის განხორციელებისთვის მოთხოვნილი რესურსების მართვის სქემა;

უნდა იყოს შესაბამისობაში ბიუჯეტის დასაბუთებასთან (დანართი 5)

2. პროექტის შედეგების გავრცელება და მდგრადობა

აღწერეთ პროექტის ჯგუფის (პროექტის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორანტი) ეფექტიანი თანამშრომლობის გზები. წარმოადგინეთ ინფორმაცია პროექტის მოსალოდნელი შედეგების კონკურენტუნარიანობის შესახებ საერთაშორისო სივრცეში. აღწერეთ სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის მდგრადობის პერსპექტივები.

## Call for structured PhD programme development

### Competences and Management

(Fonts: Times New Roman; font size: 11; paragraph: single line spacing 1; margins: 1,5 cm)

Head of PhD Programme / Project Supervisor:

Project Title:

Host Institution:

#### I. Applicant's Competences

- 1. Programme supervisor, co-supervisor and consultants experience with regards to teaching and research component of the PhD programme**
- 2. Host Institution's Infrastructure**  
Please describe host institution's infrastructure necessary for project implementation.
- 3. International and local intra and inter-institutional collaboration within the project implementation**  
Please describe international and local inter and intra-institutional collaboration schemes. Also provide details on intellectual and material support for project implementation to be performed by other legal entities and individuals included in the project, such as co-participant institution and co-supervisor, foreign consultant, foreign and local partner institutions, co-funder.

#### II. Project management

- 1. Responsibilities of the key personnel involved in the project and project resources management scheme**  
Should be in line with budget justification (Annex #5).
- 2. Project Results' dissemination and sustainability**  
Please describe the ways of efficient collaboration among the team members (PhD students, young scientist and supervisor). Provide information on international competitiveness of expected research results. Describe perspectives of programme sustainability.



**შენიშვნები ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით:**

1. ივსება მხოლოდ თეთრად შეფერილი უჯრები. ფორმულების უჯრების შეცვლა დაუშვებელია;
2. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ბიუჯეტის მე-3 ხარვეზით კატეგორიაში (კვლევის ხარვეზი) შესაბამისი რაოდენობის ხაზების დამატება;
3. ერთი ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს თვეში (18 000 ლარი/წელიწადში);
4. ერთი დოქტორანტის სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს თვეში (12 000 ლარი/წელიწადში);
5. აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 220 000 ლარს, აქედან პირველი წლის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წლების ბიუჯეტი თითოეული 60 000 ლარს;
6. არაკრედიტირებული სადოქტორო პროგრამის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 245 000 ლარს, აქედან პირველი წლის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს, მეორე წლის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, ხოლო მესამე და მეოთხე წლების ბიუჯეტი თითოეული 60 000 ლარს;
7. პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს ერთი ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდიას. გამოაკლისის სახით, შესაძლებელია, პროექტში ჩართული იყოს ორი ახალგაზრდა მეცნიერი, რომელთაც უკავიათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში. პროექტში ორი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში, ყოველთვიური სტიპენდია უნდა თანაბრად განაწილდეს მათზე;
8. პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 3 დოქტორანტის სტიპენდიას.
9. დაუშვებელია, ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ფარგლებში, კვლევის ხარვეზის კატეგორიაში მოხდეს პროექტის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ანაზღაურების, დოქტორანტის სასწავლო გადასახადის და მივლინების ხარჯების გათვალისწინება.
10. ზედნადები ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს.
11. თანადაფინანსების ფარგლებში, შესაძლოა, კვლევის ხარვეზის მუხლში გათვალისწინებული იქნას პროექტის ხელმძღვანელის და \*თანახელმძღვანელის შრომის ანაზღაურება.



**Notes:**

1. Fill in the columns marked in white. BLUE cells contains automatic formulas and must not be modified;
2. Within Research Expenses section, you can add rows (if needed);
3. Young scientist's scholarship should not exceed 1500 GEL per month (18 000 GEL / year);
4. PhD student's scholarship should not exceed 1000 GEL per month (12 000 GEL / year);
5. Accredited PhD Programme grant funding should not exceed 220 000 GEL: the first year budget should not exceed 100 000 GEL, the second and third year budget should not exceed 60 000 GEL;
6. Non-accredited PhD Programme grant funding should not exceed 245 000 GEL: the first year budget should not exceed 25 000 GEL, the second year budget should not exceed 100 000 GEL, the third and fourth year budget should not exceed 60 000 GEL;
7. Requested funding from SRNSF should cover no more than one young scientist's scholarship; As an exception, two young scientists can participate in the project, if each of them holds academic or research position at respective host/co-partisipant institution. In such case the monthly scholarship should be divided equally.
8. Requested funding from SRNSF should cover no more than three PhD students' scholarship;
9. Research Expenses should not include salaries for a Head of the PhD Programme/Project Supervisor's and for a Co-supervisor, PhD Student's tuition fee and Travel Expenses;
10. Overhead cost should not exceed 7% of the requested funding from SRNSF.
11. Co-funding can cover salaries for project supervisor and co-supervisor which should be indicated in the category of research expenses.





III საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ დაწყების და დამთავრების თარიღები)															
N	ამოცანის დასახელება	გასახორციელების სამუშაოების აღწერა	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													

IV საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ დაწყების და დამთავრების თარიღები)															
N	ამოცანის დასახელება	გასახორციელების სამუშაოების აღწერა	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა													
		აქტივობა 1													
		აქტივობა 2													
		აქტივობა 3													

**შენიშვნები გეგმა-გრაფიკის შეესებასთან დაკავშირებით:**

- \*\* გთხოვთ, მიუთითოთ სამეცნიერო პროდუქტიულობის თვალსაზრისით კონკრეტული ამოცანის შესაბამისი შედეგი (პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილება, სადოქტორო ნამუშევარი, მონოგრაფია, პატენტი, სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, პრეზენტაცია). არ არის სავალდებულო ყველა ამოცანის შემთხვევაში აღნიშნული სვეტის შევსება. ასევე, შესაძლებელია, ერთი ამოცანისათვის რამდენიმე შედეგის მითითება.
- 1 მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველა შევსებულ გრაფაში ტექსტი სრულად ჩანდეს.
- 2 დაგეგმილი ამოცანებისა და აქტივობების გასწვრივ "შესრულების ვადაში" მიეცით შეფერილობა თქვენ მიერ დაგეგმილი შესრულების თვე/თვეების გრაფებს.
- 3 საჭიროებისამებრ, დაამატეთ სტრიქონები.
- 4 ფონდი უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეამოწმოს აქტივობების შესრულების გრაფიკი
- 5 მონოგრაფია უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო საბჭოს მიერ დამტკიცებული
- 6 სტატია უნდა გამოქვეყნდეს ან მიღებულ იქნას გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში
- 7 პროექტის გეგმა-გრაფიკი ამოცანების შესრულების შედეგების სახით (deliverables) უნდა ითვალისწინებდეს პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და ახალგაზრდა მეცნიერის ავტორობით არანაკლებ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას
- 8 პროექტის გეგმა-გრაფიკი ამოცანების შესრულების შედეგების სახით (deliverables) უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ სამი დოქტორანტის მიერ დისერტაციის დაცვას.



Third Academic Year						
Research Component of the Program						
N	Tasks	description of the Tasks	Semester	Deliverables**	Comment***	
Teaching Component of the Program						
N	Course/Seminar	Contact Hours	Semester	Credits (ECTS)	Deliverables**	Comment***

- Notes:**
- \* Please indicate the name and surname of PhD student, if he/she is already selected at the time of project submission.
  - \*\* Please indicate deliverables in terms of science productivity and other project objectives (PhD dissertation defense, scientific article, monograph, patent, presentation at scientific event, other deliverables). Filling the column of deliverables for each task is not mandatory. You can indicate several deliverables for one task.
  - \*\*\* Please provide a comment in case of selecting "other deliverables".
- 1 Please make sure that the text is clearly and completely visible in all fields.
  - 2 Please select and shade relevant dates with regards to set objectives and tasks.
  - 3 Please add rows if necessary.
  - 4 SRNSF is authorized to monitor project implementation plan at any stage of its duration.
  - 5 The monograph should be approved by the editorial board of the relevant field at the Host Institution.
  - 6 The article should be published or accepted for publication in international peer-reviewed and cited journal.

## სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი

### პროფესიული ავტობიოგრაფია

### Curriculum Vitae

სახელი, გვარი	დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
მისამართი:	ტელეფონი
ვებგვერდი:	ელ.ფოსტა

#### პოზიცია/მოვალეობა პროექტში

#### 1. განათლება

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაციის / სპეციალობის მითითებით)
1			
2			
3			
4			
5			

#### 2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
